ცვლილებები ძალაშია 19.07.2025-დან.
ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:
საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს შემდეგი შინაარსის 18³ მუხლი:

„მუხლი 18³. ციფრული ბარათი

1. ციფრული ბარათის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.
2. ციფრული ბარათი სადებეტო ტიპის ბარათია და საშუალებას იძლევა განიკარგოს ბარათზე მიმაგრებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა და დაშვებული ოვერდრაფტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. კლიენტს უფლება აქვს ქონდეს მაქსიმუმ 3 (სამი) ციფრული ბარათი.
4. ციფრული ბარათის გააქტიურების დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის გააქტიურებაც.
5. ციფრული ბარათზე ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება და შესაძლებელია არაუმეტეს სამი ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც შეიძლება წარმოდგენილი იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ციფრული ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი ციფრული ბარათის გააქტიურების დროს და უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ძირითადი ანგარიში:
   - ძირითადი ანგარიში – ციფრულ ბარათზე ძირითადი ანგარიში შეიძლება იყოს მხოლოდ მიმდინარე ანგარიში.
   - დამატებითი ანგარიში – ციფრულ ბარათზე დამატებითი ანგარიშები შეიძლება იყოს როგორც მიმდინარე, ასევე შემნახველი ანაბრის ანგარიში.
6. ციფრული ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ჰქონდეს და შეინარჩუნოს მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი შესაბამის ვალუტაში.“

საბანკო მომსახურების პირობების 29⁵ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „4.4.ა“ ქვეპუნქტი:
„4.4.ა ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);“

საბანკო მომსახურების პირობების 29⁷ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „4.5“ ქვეპუნქტი და დაკორექტირდეს 4.5. ქვეპუნქტის შემდეგ მოცემული ტექსტი:
„4.5. ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);“
„კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 ან 4.5 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე, რა დროსაც „ანგარიში სტანდარტის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.“

საბანკო მომსახურების პირობების 29⁹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „4.3.ა“ ქვეპუნქტი:
„4.3.ა ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);“

საბანკო მომსახურების პირობების 29¹⁰ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „4.3.ა“ ქვეპუნქტი და დაკორექტირდეს 4.3. ქვეპუნქტი:
„4.3. პლასტიკური ბარათი (კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) ცალი სადებეტო MasterCard ბარათი, ასევე, დამატებით, კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 (ერთი) ცალი Visa ბარათი);“
„4.3.ა ციფრული ბარათი (არაუმეტეს 3 ცალი ბარათი);“